



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1998/ს



12/10/2021

1998-11-4-202110121732

ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N679 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს შესახებ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის, 33-ე, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 05 ოქტომბრის N17881 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N679 ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-„სააგენტო“) ფასანაურის სატყეო უბნის ანანურის სატყეოს კვარტალი N52-ის ლიტერიN01 და N03-ში მდებარე 15588.00 მ2 მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N71.55.23.034).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი